სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

KA080117486343819

საქართველო, ქ. თბილისი 0113, რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. №8 / 8 Richard Holbrooke str., Tbilisi 0113, Georgia
⚐ www.procurement.gov.ge ✉ info@procurement.gov.ge ☎ +995 32 2 242 248

№ 4892

20 / დეკემბერი / 2019 წ.

საქართველოს მთავრობის
ადმინისტრაციას
პრემიერ მინისტრის აპარატის უფროსს
ბ-ნ გიორგი სახოკიას

ბატონო გიორგი,

თქვენი 2019 წლის 18 დეკემბრის, #GOV 6 19 00051824 წერილის პასუხად, მოგახსენებთ, რომ საჯარო შესყიდვების სფეროში 2019 წელს აქტუალური გახდა რამდენიმე საერთაშორისო ვალდებულების შესრულება, მათ შორის:

- AA/DCFTA-ს 143-ე მუხლით გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის ინსტიტუციური ვალდებულება ჩამოაყალიბოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი დავების განხილვის ორგანო (გთხოვთ, იხილოთ დანართი დოკუმენტი #1); ანალოგიურ ვალდებულებას ითვალისწინებს EU-Georgia MFA მე-3 პუნქტი (გთხოვთ, იხილოთ დანართი დოკუმენტი #2);
- დამატებით, EU-Georgia MFA, ევროკავშირის მაკრო-საფინანსო დახმარების ფარგლებში დადებული მემორანდუმის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვების რეგლამენტირება (გთხოვთ, იხილოთ დანართი დოკუმენტი #2).

აღნიშნული ვალდებულებების შესასრულებლად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ 2018-2019 წლების განმავლობაში მიმდინარეობდა კონსულტაციები საქართველოს ვიცე-პრემიერთან, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებთან, კონკურენციის სააგენტოსთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან. ასევე მოლაპარაკებები გაიმართა ევროკომისიის რამდენიმე გენერალურ დირექტორატთან - DG GROWTH, DG TRADE, DG NEAR, DG ECFIN, ასევე საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის შესაბამის ოფიცრებთან.

ამ პროცესის შედეგად:

- შემუშავებულ იქნა კანონპროექტი (გთხოვთ, იხილოთ დანართი დოკუმენტი #3), რომელიც აფუძნებს დავების განხილვის ორგანოს ინსტიტუციური მოწყობის ახალ მოდელს;
- ამავე კანონპროექტითვე განისაზღვრება ევროდირექტივებზე დაფუძნებული ახალი რეგულაციები გამონაკლისების სფეროში, გამარტივებული შესყიდვების მოცულობის შემცირების მიზნით (გთხოვთ, იხილოთ დანართი დოკუმენტი #3);
- 2018 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა სააგენტოს სამართლებრივი აქტი, რომელიც უფრო მკაფიოდ და ნათლად არეგულირებს გამარტივებული შესყიდვების განხორციელებას ერთ-ერთი საფუძვლით - „გადაუდებელი აუცილებლობით“ (გთხოვთ, იხილოთ დანართი დოკუმენტი #4);
- ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, შემუშავებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი (გთხოვთ, იხილოთ დანართი დოკუმენტი #5), რომელიც არეგლამენტირებს გამარტივებული შესყიდვების განხორციელებას ერთ-ერთი საფუძვლით - „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების განხორციელება შეზღუდულ ვადებში“

დამატებით, გიგზავნით სააგენტოს კომუნიკაციას ევროკომისიის პასუხისმგებელ პირებთან (გთხოვთ, იხილოთ დანართი დოკუმენტი #6), ვისგანაც ამჟამად ველოდებით საბოლოო დასტურს შემოთავაზებულ მოდელთან დაკავშირებით.

ევროკომისიიდან სათანადო თანხმობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის შესაბამისი მითითების მიღების შემდგომ, ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტები კანონმდებლობით დადგენილი წესით განსახილველად წარედგინება საქართველოს მთავრობას.

პატივისცემით,

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე